საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები
(09.07.2016 – 08.08.2016)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“, შემუშავდა წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები, ჩატარდა ტრენინგები, როგორც მონიტორინგის განმახორციელელი პირებისათვის, ისე ყველა იმ სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და კურსდამთავრებულნი ახორციელებენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი 2016 წლის 08 ივნისს დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
ბ) წინა საარჩევნო დებატები;
გ) ახალ ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორების დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ

მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მეორე შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2016 წლის 09 ივნისიდან 08 აგვისტოს ჩათვლით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 30.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 24.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 30.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „მთავარი თამარ ჩიქოვანთან“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) და „ქრისტიან–კონსერვატიული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებს შორის.

II არხი - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „არგუმენტების დრო“, „ჩვენი პარლამენტი“, „პოლიტალტერნატივა“ და „თავისუფალი ტრიბუნა“. გადაცემას „არგუმენტების დრო“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემას „ჩვენი პარლამენტი“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „პოლიტალტერნატივა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ჩვენი საქართველოს“ (ერთხელ) და „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „თავისუფალი ტრიბუნა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ლეიბორისტების“ (ერთხელ) წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ბრიფინგის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (სამჯერ), „საქართველოს“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ),

„ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ქართული დასის“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „მშვიდობიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) და (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„საზოგადოებრივ მაუწყებელის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 44.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 17.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 37.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 29.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „ფაქტორი“ და „პირისპირ“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ფაქტორი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი მედეა ვასაძე. ამავე გადაცემაში ზემოაღნიშნულ სუბიექტებს შორის შედგა დებატები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პირისპირ“პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „ჩვენი სამშობლოს“ (ერთხელ) წარმომადენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი მურმან დუმბაძე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 25%, „ქართულ ოცნებას“ 23.7%, „სახელმწიფო ხალხისათვის“ 12.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 12.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 32.1%, „ქართულ ოცნებას“ 29.8%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რუსთავი 2“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „არჩევანი“ და P.S. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემის წამყვანის განცხადებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ერთ შემთხვევაში უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე.

ამავე პერიოდში გადაცემაში P.S. განთავსდა შემდეგი სიუჟეტები: „პოლიტიკური პერიპეტიები აჭარაში“ (კომენტარი გაკეთდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის და დამოუკიდებელი კანდიდატების მედეა ვასაძეს და მურმან დუმბაძეს მიერ), „ფულის დეფიციტი ჯანდაცვის სისტემაში“ (კომენტარი გაკეთდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ), „პენსიის მატება“ (კომენტარი გაკეთდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ), „ქართული

ოცნების სია – კობა ნარჩემაშვილი (კომენტარი გაკეთდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის მიერ), „მოსამართლეების ოჯახური კავშირები“ (კომენტარი გაკეთდა „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის მიერ), „პატიმარ მიქაუტაძის თვითმკვლელობა“ (კომენტარი გაკეთდა „ქართული ოცნების“ და „რესპუბლიელების“ წარმომადგენლების მიერ), „პრორუსული ორგანიზაციების გააქტუირება“ (კომენტარი გაკეთდა „კვარაცხელია–სოციალისტების“ წარმომადგენლის მიერ), „ვანო მერაბიშვილის საქმე“ (კომენტარი გაკეთდა „ნაციონალური მოძრაობის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ).

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

„რუსთავი 2“–ის მიერ საჯაროდ არ გამოცხადებულა (www.rustavi2.com) და კომისიაში წარმოდგენილი არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რუსთავი 2“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ემლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ჯი დი ეს თი ვი“
(GDS)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[1] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 44.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 14.6%, „რესპუბლიკელებს“ 11.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„GDS“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „20:30“ და „59 წამი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „20:30“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „59 წამი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ),ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემის ფარგლებში შედგა დებატები[2] „თავისუფალი დემოკრატების“ და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნებისა“ და „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებს შორის,

[1] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

[2] გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უარს აცხადებენ პროგრამაში მონაწილეობაზე;

„თავისუფალი დემოკრატებისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნებისა“და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „GDS“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„GDS“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gdstv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„GDS“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეიმედი“

საინფორმაციო გამოშვებებში[3] საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 47.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 19.9%, „რესპუბლიკელებს“ – 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

[3] მონიტორინგის პერიოდში „იმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში გაშუქდა „ქართული ოცნების“ ყრილობა, რაც აისახა ტელეკომპანიის მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის დათმობილი დროის გრაფიკზე;

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 29% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 27.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „პოლიტიკა“, „იმედის დრო“ და „ქრონიკის სტუდია“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პოლიტიკა“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „იმედის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „ახალი მემარჯვენეების“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „სტუდია მაესტრო“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 48.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 15.2%, „რესპუბლიკელებს“ 11%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 33.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 28.6%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკის სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისათვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი.

„მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „მაესტროს ფაქტორი“ და „SWOT ანალიზი“. გადაცემას „მაესტროს ფაქტორი“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ჩვიდმეტჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ხუთჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ოთხჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „ქართული დასის“

(ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისათვის“ (ერთხელ), „ცნტრისტების“ (ერთხელ), „კვარაცხელია სოციალისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ და „კვარაცხელია–სოციალისტების“ წარმომადგენლებს შორის, „ცენტრისტების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „ახალი საქართველოს“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „SWOT ანალიზი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.maestro.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 32.6%, „ქართულ ოცნებას“ - 29.6%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 12.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 38.8%, „ქართულ ოცნებას“ - 32%, ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „სპექტრი“, „ბარიერი“ და „განსხვავებული აზრი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სპექტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ბარიერი“პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ხუთჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „ახალი საქართველოს“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „ლეიბორისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ახალი საქართველოს“ და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „პატრიოტთა ალიანსი–

გაერთიანებული ოპოზიციის“, „ლეიბორისტების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ახალი საქართველოს“ და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“, “ეროვნული ფორუმის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გაერთიენბული დემოკრატიული მოძრაობის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ახალი საქართველოს“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „იბერია TV“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[4] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 39.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 16.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იბერია TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „პრიორიტეტი“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოცდასამჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ლეიბორისტების“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციის“ (ორჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „რეფორმატორების“ (ერთხელ), „ცენტრისტების“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ) და „ემსახურე საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ლეიბორისტების“,„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ და „რეფორმატორების“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იბერია TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

[4] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„იბერია TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.iberiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იბერია TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია პირველი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 31.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 16.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 31.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 21.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პირველი TV“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „ვახო სანაიას და ინგა გრიგოლიას დღის ამბები“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოცდახუთჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (თხუთმეტჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (თორმეტჯერ), „თავისუფალი

დემოკრატების“ (თორმეტჯერ), „ახალი საქართველოს“ (თორმეტჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ცხრაჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (რვაჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციის“ (შვიდჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ექვსჯერ), „ლეიბორისტები“ (ოთხჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (სამჯერ), „რეფორმატორების“ (სამჯერ), „ქართული დასის“ (სამჯერ), „ახალი მემარჯვენეები“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „ჩვენი სამშობლოს“ (ერთხელ), „ლიბერალ–დემოკრატების“ (ერთხელ), „კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები მედეა ვასაძე, მურმან დუმბაძე, სალომე ზურაბიშვილი და გიორგი აფციაური. ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ათჯერ), „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (რვაჯერ), „ახალი საქართველოს“ (რვაჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (სამჯერ), „რეფორმატორების“ (სამჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციის“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ახალი მემარჯვენეები“ (ორჯერ), „ქართული დასის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ლეიბორისტები“ (ერთხელ), „ლიბერალ–დემოკრატების“ (ერთხელ), „კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ) და „ჩვენი სამშობლოს“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„პირველი TV“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „რვიანი“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (თექვსმეტჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (თხუთმეტჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ახალი მემარჯვენეები“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „რეფორმატორების“ (ერთხელ) და „კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ნაციონალური მოძრაობის“ (ათჯერ), „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ),„კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„პირველი TV“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „საქმიანი დილა“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„პირველი TV“–ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „ბიზნესკონტრაქტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (შვიდჯერ), „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ხუთჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ირაკლი შიხიაშვილი და ცეზარ ჩოჩელი. ამავე პროგრამის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (სამჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„პირველი TV“–ს ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „Face Time“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.[5]

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პირველი TV“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პირველი TV“–ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvpirveli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პირველი TV“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



[5] იხ. რეკომენდაციების ნაწილი;



ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“ - 26.2%, „ქართულ ოცნებას“ 17.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 12.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“ - 25.4%, „ქართულ ოცნებას“ 17.6%, „ლეიბორისტებს“ 13.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 11.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ობიექტივის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „დილის შოუ“, „შუადღე“, „საღამოს შოუ“, „ღამის შოუ“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დილის შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „შუა დღე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ცხრაჯერ), „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიციის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემას „საღამოს შოუ“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (თერთმეტჯერ),

„ქართული ოცნების“ (ორჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ) და „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები). გადაცემას „ღამის შოუს“ სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ათჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ),„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ქართული დასის“ (ერთხელ), „ერთიანი კომუნისტური პარტიის“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ) და „კვარაცხელია–სოციალისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში „ობიექტივის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა, რომლის წამყვანიც არის პოლიტიკური პარტია „კვარაცხელია–სოციალისტების“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.[6]

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obieqtivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



[6] იხ. დარღვევების ნაწილი;



შპს „პალიტრა TV“
(Palitra News)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 39.5%, „ქართულ ოცნებას“ 25.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 38.7%, „ქართულ ოცნებას“ 27.4%, „რესპუბლიკელებს“ 12.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პალიტრა News“–ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „360°”, “ჩემი კითხვა“ და „მეხუთე სართული“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „360°” პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „ახალი საქართველოს“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „ქართული დასის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) და „ახალი მემარჯვენეების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის, „ეროვნული ფორუმის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „ახალი საქართველოს“

და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ და „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მეხუთე სართული“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ და „სახელმწიფო ხალხისათვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლეს შორის, „ქართული ოცნების“ და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლეს შორის, „ქართული ოცნების“, „სახელმწიფო ხალხისათვის“ და „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ჩემი კითხვა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“–ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პალიტრა News“–ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.palitratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პალიტრა News“–ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[7] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 38%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 32.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „თეორემა“, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატები შედგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებს შორის, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ წარმომადგენლებს შორის, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებს შორის, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „საუბარი რელიგიაზე“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ) წარმომადგენლები.[8]

[7] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

[8] იხ. რეკომენდაციების ნაწილი;

„ტაბულას“ მიერ საჯაროდ არ გამოცხადებულა (www.tabula.ge) და კომისიაში არ წარმოდგენილა მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტაბულას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „სტარვიზია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 40.7%, „რესპუბლიკელებს“ 28.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 50.4%, „რესპუბლიკელებს“ 21.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 10%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„სტარვიზიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „აქტუალური თემა“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართულ ოცნების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „სტარვიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„სტარვიზიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.stargroup.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სტარვიზიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 24.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 20%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 13.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 27.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 15.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 14.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რიონის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „ობიექტური აზრი“, „თემა“, „განსხვავებული აზრი“, „ანგარიში ხალხს“ და „მრავალკუთხედი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ობიექტური აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ახალი საქართველოს“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „ახალი მემარჯვენეების“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რიონის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რიონის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rionitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რიონის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა–ტვ“

საინფორმაციო გამოშვებებში[9] ყველაზე მეტი დრო დაეთმო „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 25.7%, „ახალ საქართველოს“ 23.4%, „ქართულ ოცნებას“ 21.5%, „რესპუბლიკელებს“ 13.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში „მეგა ტვ“–ს ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ–პოლიტიკური თემატიკის პროგრამებს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეგა ტვ“–ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეგა ტვ“–ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.megatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეგა ტვ“–ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

[9] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ არის;



შპს „ტელე–რადიო პრესკომპანია ზარი“

საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებიდან დრო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ დაეთმო.

„ზარის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „მრავალკუთხედი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ზარის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ზარის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvzari.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „თავისუფალი მედია სივრცე“
(გურია)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს[10] პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (24.4%) და „რესპუბლიკელებს“ (23.6%). „ერთიან ნაციონალურ

[10] სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

მოძრაობას“ – 15.5%, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებულ ოპოზიციას“ 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„გურიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელებს“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fms.tge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალებაც.



შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 34.3%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 21.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 30.9%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 21.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 17.2%, „რესპუბლიკელებს“ 14.7%, „ჩვენ სამშობლოს“ 11% (იხ. დიაგრამა).

„თრიალეთის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „განსხვავებული აზრი“ და „გორის დარბაზი”. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემის წამყვანის განცხადებით გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

„თრიალეთის“ მიერ კომისიაში წარმოდგენილი და საკუთარ ვებ–გვერდზე (www.trialeti.ge) ატვირთული არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 44.7%, „რესპუბლიკელებს“ 17.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 28.8%, „კვარაცხელია–სოციალისტებს“ 25.3%, „ახალ საქართველოს“ 15.7%, „რესპუბლიკელებს“ 12.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„გურჯაანის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“ და „სტუდია რე“. გადაცემას „განსხვავებული აზრი“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „გურჯაანის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„გურჯაანის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gurjaanitv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„გურჯაანის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 67.4%, „ქართულ ოცნებას“ 13.1%, „ახალი საქართველო“ 12.4%, ხოლო „თავისუფალ დემოკრატებს“ 7.2% (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 34.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 31%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ქვემო ქართლის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „პოლიტარტი“ და „სტუდია 4“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „განსხვავებული აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „სტუდია 4“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ცენტრისტების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პოლიტარტი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, ქვემო ქართლის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ქვემო ქართლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (http://tvkvemokartli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქვემო ქართლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეკომპანია დია“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 26.3%, „ჩვენ სამშობლოს“ 13.1%, ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“ 12.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 12.1%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 29.7%, „ქართულ ოცნებას“ 21.5 %, „რესპუბლიკელებს“ 11.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„დიას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“ და „კვირის რეალობა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „კვირის რეალობა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ) და „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „დიას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„დიას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.dia.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„დიას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ყოველდღიურ ახალ ამბებში მეტნაკლებად ეძლეოდათ მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ტელეარხი 25“

